



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 29

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი
29.03.2024

29-06-4-202403291710



გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიორგი გოგიშვილისა და მწვრთნელის შოთა ფერაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის №49 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2024 წლის 21 მარტის №77 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - გიორგი გოგიშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 200 (ორასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - შოთა ფერაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 100 (ასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღლო ანგარიშწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

გიორგი გოგიშვილი - 200 (ორასი) ლარი, 3/5

შოთა ფერაშვილი – 100 (ასი) ლარი, 3/5

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ.№6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

